



დაიჯესტი

4 - 10 მარტი, 2023



TRC

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

3 მარტს [აშშ-ს არმიის ყოფილ ჯარისკაცს მიესაჯა 45 წლით თავისუფლების აღკვეთა](#). რაც პროკურორებმა საზღვარგარეთ საკუთარი ჯარის წევრებზე „ჩასაფრებად“ შეაფასეს. 24 წლის მამაკაცმა კენტუკის შტატიდან, ერიკ მელცერმა გაუზიარა ინფორმაცია მდებარეობისა და განლაგების შესახებ აშშ-ს მგრძნობიარე სამხედრო ინსტალაციის შესახებ ძალადობრივ, ანტისამთავრობო, ნეონაციტურ ორგანიზაციას, „Order of Nine Angles“-ს. ის 2020 წლის ივნისში დააკავეს, 2022 წელს კი მან დანაშაული აღიარა.

5 მარტს კონგრესმენმა რესპუბლიკური პარტიიდან, [მარჯორი ტეილორ გრინმა თქვა, რომ იგი წარადგენს რეზოლუციას „ანტიფას“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადების შესახებ](#) მას შემდეგ, რაც მან ჯგუფს დაადანაშაულა ატლანტაში პოლიციის სასწავლო დაწესებულებაში საპროტესტო აქციების მოწყობაში. კვირას გრინმა ტვიტერში დაწერა: „ანტიფა საშინაო ტერორისტები არიან და მე წარმოგიდგენთ ჩემს რეზოლუციას, რომ სამშაბათს ისინი ოფიციალურად გამოვაცხადო ტერორისტულ ორგანიზაციად“.

გერმანია

9 მარტს [გერმანელმა შეიარაღებულმა პირმა იერიში მიიტანა იეჰოვას მოწმეების შეკრების ადგილზე ჰამბურგში](#). რასაც ემსხვერპლა 6 ადამიანის სიცოცხლე და დაიჭრა 8 ადამიანი, მათ შორის 7 თვის ორსული ქალი, რომელმაც დაკარგა ნაყოფი. თავად თავდამსხმელმა შემთხვევის ადგილზე თავი მოიკლა.

შვედეთი

7 მარტს ნატოს გენერალური მდივანი, იენს [სტოლტენბერგი მიესალმა შვედეთის ახალ ანტიტერორისტულ კანონმდებლობას, რომელიც მოიცავს ქურთისტანის მუშათა პარტიას \(PKK\)](#) და შეაფასა ის, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის ტერორიზმთან ბრძოლაში. შვედეთის პრემიერ-მინისტრთან, ულფ კრისტერსონთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე სტოლტენბერგმა თქვა: „თურქეთს აქვს ლეგიტიმური შეშფოთება უსაფრთხოების შესახებ და მივესალმები, რომ შვედეთმა გააძლიერა ბრძოლა ტერორიზმთან, მათ შორის PKK-სთან, ახალი ტერორისტული კანონმდებლობის შემოღებით და ანკარასთან კონტრტერორისტული თანამშრომლობის გაძლიერებით.“

ბულგარეთი

ბულგარეთის უზენაესმა საკასაციო სასამართლომ საბოლოო ინსტანციაში დაადასტურა [მელიად ფარას და ჰასან ელ ჰაჯ ჰასანს სამუდამო პატიმრობა 2012 წლის ივლისში ბურგასის აეროპორტში მომხდარ ტერაქტში მონაწილეობის გამო](#), რომლის დროსაც 5 ისრაელელი და 1 ბულგარელი დაიღუპა. ამის შესახებ 2023 წლის 7 მარტს გენერალურმა პროკურორმა, ივან გეშევიმ განაცხადა.

ბელარუსი

ბელორუსიის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ [ბელორუსმა 7 მარტს დააკავა "ტერორისტი" და 20-ზე მეტი თანამზრახველი, რომლებიც მუშაობდნენ უკრაინისა და აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებთან](#) ბელარუსის საჰაერო ველზე დივერსიის მცდელობის გამო. ბელარუსიელმა ანტისამთავრობო აქტივისტებმა განაცხადეს, რომ გასულ თვეში მათ ააფეთქეს დახვეწილი რუსული სამხედრო სამეთვალყურეო თვითმფრინავი ბელარუსის დედაქალაქ მინსკთან ახლოს აეროდრომზე თავდასხმის დროს, რასაც მოსკოვი და მინსკი ედავებიან.

ერაყი

7 მარტს პენტაგონის ხელმძღვანელმა [ლოიდ ოსტინმა ერაყში განაცხადა, რომ აშშ-ის ჯარები "მზად არიან დარჩნენ" ქვეყანაში ბაღდადის მონვევით](#), არასაბრძოლო როლში "ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ. ოსტინის განცხადებით: „ეს ძალები მოქმედებენ არასაბრძოლო მიმართულებით, რჩევებს და დახმარებას იძლევიან ერაყის ხელმძღვანელობით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად“.

6 მარტს ერაყის უსაფრთხოების წყარომ აღნიშნა, რომ [4 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და 3 დაიჭრა შეიარაღებული თავდასხმის შედეგად](#), რომელიც მოჰყვა ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქებას აღმოსავლეთ ერაყში, დიალას პროვინციაში.

ისრაელი

9 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ [ისრაელის თავდაცვის ძალებმა მოკლეს 3 პალესტინელი დასავლეთ სანაპიროზე, ჯენინთან ახლოს](#). წყაროების თანახმად, სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს მანქანას, სადაც იმყოფებოდნენ პალესტინელები.

ავღანეთი

აბდულა ინსაფმა Xinhua-ს განუცხადა, რომ ისლამური საამიროს უსაფრთხოების ძალებმა დაიწყეს ოპერაციები დაემის (ISIS) მებრძოლების სამალავის წინააღმდეგ ქალაქ ჰერატის მე-14 რაიონის [სოფელ რაბათ ქაბულში და მოკლეს 6 მებრძოლი](#). პოლიციამ ასევე ამოიღო იარაღი და საბრძოლო მასალა, მათ შორის 3 ავტომატური თოფი, ხუთი პისტოლეტი და 15 ტელეფონი.

9 მარტს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, [ავღანეთის ბალხის პროვინციის გუბერნატორი ემსხვერპლა სუიციდურ ტერორისტულ თავდასხმას](#), რომელიც განხორციელდა გუბერნატორის ოფისში. აღნიშნული გუბერნატორი ავღანეთის თალიბანის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იერარქიის პირი იყო. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ შეაღწია ტერორისტმა გუბერნატორის ოფისის შენობაში.

ეგვიპტე

5 მარტს [ეგვიპტემ 14 ადამიანს, მათ შორის უფლებადამცველებს, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5-დან 15 წლამდე ვადით ტერორიზმთან დაკავშირებულ ბრალდებებზე](#). სასამართლო პროცესზე, რომელიც უფლებადამცველმა ჯგუფებმა უსამართლოდ შეაფასეს. ექვმიტანილები 2018 წელს ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი დარბევის ფარგლებში დააკავეს.

ბურკინა ფასო

5 მარტს, AFP-ისთვის მიწოდებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, ბურკინა ფასომ [ჯიჰადისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად ჩრდილოეთი და ცენტრალური აღმოსავლეთის რეგიონის ნანილებში](#)

[კომენდანტის საათი დაანება.](#) გალატაკებულ საჰელში ხანგრძლივმა ამბოხებამ ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, პოლიციელისა და ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა, ორ მილიონზე მეტი ადამიანი კი დევნილად აქცია.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

როიტერსის ცნობით, [ისლამისტმა ტერორისტებმა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ პროვინციაში თავდასხმისას მოკლეს 36 ადამიანი.](#) დაუდასტურებელი ინფორმაციით, თავდამსხმელები არიან გაერთიანებული დემოკრატიული ძალების წევრები, რომელიც არის უგანდელის მიერ ჩამოყალიბებული და ისლამურ სახელმწიფოსთან აფილირებული დაჯგუფება.

ნიგერია

ნიგერიის ჩრდილოეთ რეგიონში, [ბორნოს შტატში მოქმედმა ისლამისტმა ტერორისტებმა მოკლეს 37 მეთევზე ერთ სოფელში.](#) საგულისხმოა, რომ ისლამისტი ტერორისტები ბორნოს შტატში ხშირად ესხმიან თავს სამოქალაქო პირებს მათი გაძარცვის მიზნით.

გავრცელებული ინფორმაციით, [ნიგერიის თავდაცვის ძალებმა უკანასკნელი 2 კვირის მანძილზე დახურეს 74 არალეგალური საწარმო, დააპატიმრეს ნავთობის მარაგების 71 ქურდი ტერორისტი.](#) აღნიშნული წარმატებული ოპერაციების შედეგად ნიგერიის თავდაცვის ძალებს სულ დანებდა 1332 ისლამისტი ტერორისტი.

პაკისტანი

10 მარტს გავრცელებული ინფორმაციით, [პუნჯაბის რეგიონის კონტრ-ტერორისტულმა დანაყოფმა საიდუმლო ოპერაციისას დააკავა ალ-კაიდასთან და პაკისტანის თალიბანთან აფილირებული 12 ტერორისტი.](#)